Deloitte.
Legal



საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული **COVID-19**-ის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა

26 აპრილი, 2020

MAKING AN IMPACT THAT MATTERS since 1845

სარჩევი

ამ საინფორმაციო გზამკვლევის მიზანია, მკითხველს ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას საქართველოს მთავრობის მიერ **2020** წლის **24** აპრილს წარმოდგენილი **COVID-19**-ის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის შესახებ. ის მიზნად არ ისახავს პროფესიონალური სამართლებრივი ან სხვა სახის კონსულტაციას და არც ანაცვლებს მას.

ამ საინფორმაციო გზამკვლევზე დაყრდნობით განხორციელებულ ქმედებაზე პასუხს აგებთ თქვენ და მისგან გამოწვეული შესაძლო ზიანისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება დელოიტს. კონკრეტულ შემთხვევებზე უნდა მოიპოვოთ სრული პროფესიონალური სამართლებრივი კონსულტაცია.

შესავალი 3

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა 4

ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნის ეტაპები 8

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

შესავალი

2020 წლის 24 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარადგინა COVID-19-ის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც უკვე განხორციელებულ აქტივობებს, ისე - შემდგომში გამოსაყენებელ ღონისძიებებს, რომელიც რიგ შემთხვევებში მოითხოვს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს. ანტიკრიზისული გეგმის წარდგენისას, პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე წარმოადგინა „ეკონომიკის გახსნის" პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის გახსნის სავარაუდო თარიღებს.

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა

I ეტაპი - მოქალაქეებისა და ბიზნესისადმი მიმართული ღონისძიებები

- განხორციელდა მოქალაქეებისთვის კომუნალური (ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავებისა და ბუნებრივი აირის მოხმარების) გადასახადების დაფინანსება. დახმარება ეხება იმ მომხმარებლებს, რომლებიც 2020 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით პერიოდში, ყოველთვიურად მოიხმარს არაუმეტეს 200 კვტ ელექტროენერგიას ან/და 200 $მ^3$ ბუნებრივ აირს. ეკონომიკური გეგმის თანახმად, საამისოდ გამოყოფილია 150 მილიონი ლარის ოდენობის რესურსი;
- ტურიზმის სექტორში დასაქმებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარირებული ვალდებულების გადახდის გადავადება 2020 წლის 1 ნოემბრამდე;
- ავტოიმპორტიორებს 2020 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების ვადა გაუხანგრძლივდათ 1 სექტემბრამდე;
- ხელისუფლებამ შემოიღო პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს 2020 წლის 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით იმპორტირებული პროდუქტების (ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი, წიწიბურა, მზესუმზირის ზეთი, შაქარი, რძის ფხვნილი, ლობიო, ხორბალი და ხორბლის ფქვილი) სუბსიდირებას. პროექტის ბიუჯეტი 15 მილიონ ლარს შეადგენს;
- „აწარმოე საქართველოში" (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო), ახალი პროგრამის „თანადაფინანსების მექანიზმი საოჯახო, მცირე და საშუალო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის" ფარგლებში, 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, განახორციელებს საოჯახო, მცირე და საშუალო ტიპის სასტუმროების სესხის წლიური სარგებლის თანადაფინანსებას 80%-მდე ოდენობით. აქტივობისთვის გამოყოფილი ხარჯი შეადგენს 10 მილიონ ლარს.

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა (გაგრძელება)

II ეტაპი - ეკონომიკური პროგნოზები და ფინანსური რესურსების მოზიდვა

- პროგნოზების თანახმად, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი იქნება -4%;
- ბიუჯეტის შემოსავლების დანაკლისი შეადგენს 1.8 მილიარდ ლარს;
- ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს დაემატება სოციალური, ეკონომიკური მხარდაჭერის და COVID-19-ის მართვასთან დაკავშირებული ახალი ხარჯები. ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის გათვალისწინებით, საჭირო რესურსი შეადგენს 3.9 მილიარდ ლარს;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებისგან გამოიყო 3 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი, საიდანაც 1.5 მილიარდი აშშ დოლარი მიმართული იქნება საბიუჯეტო დაფინანსების, ხოლო 1.5 მილიარდი აშშ დოლარი კი საბანკო სექტორისადმი.

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა (გაგრძელება)

III ეტაპი - დაგეგმილი ღონისძიებები

- იგეგმება მიზნობრივი სოციალური დახმარების გამოყოფა მოქალაქეებისათვის, კერძოდ, ოფიციალურად დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იმყოფებიან ანაზღაურების გარეშე შვებულებაში კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემდეგ პერიოდში, დახმარების სახით, მიიღებენ 1,200 ლარს 6 თვის განმავლობაში (თვეში 200 ლარს);
- ყოველი შენარჩუნებული სამუშაო ადგილისათვის დამსაქმებელი მიიღებს სახელმწიფო სუბსიდიას, კერძოდ: 6 თვის განმავლობაში, (1) სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან 750 ლარის ოდენობის (ან ნაკლები) ხელფასი, ხოლო (2) 1,500 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში, – 750 ლარის პროპორციული საშემოსავლო გადასახადისგან;
- ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით გათვალისწინებულია თვითდასაქმებული და „არაფორმალურ სექტორში" დასაქმებული პირებისთვის;
- მომდევნო 6 თვის მანძილზე, საშუალოდ, 600 ლარის ოდენობით დახმარება გაიცემა (1) ოჯახებზე, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65,000-დან 100,000-მდეა, აგრეთვე (2) ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 100,000-მდეა და ჰყავთ 16 წლამდე ასაკის სამი ან მეტი შვილი. იმავე მოცულობის დახმარებაა გათვალისწინებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სასარგებლოდ;
- 2021 წლის იანვრიდან პენსიების ინდექსაციის წესი ამოქმედდება. ამ წესის თანახმად, პენსიები გაიზრდება შემდეგნაირად:
    - ყველა პენსიონერისათვის: არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლის შესაბამისად - ეს გულისხმობს, რომ გაზრდილი ფასები გავლენას არ იქონიებს პენსიების რეალურ მოცულობაზე;

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა (გაგრძელება)

III ეტაპი - დაგეგმილი ღონისძიებები (გაგრძელება)

- 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისათვის: რეალური ეკონომიკური ზრდის 80% დაემატება ინფლაციის მაჩვენებელს - ეს გულისხმობს, რომ პენსიების წლიური ზრდა იქნება ინფლაციის მაჩვენებელზე მაღალი.

- ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად, პენსიები გაიზრდება არანაკლებ 20 ლარით (და არანაკლებ 25 ლარით 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისათვის). 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისათვის 2020 წლის 1 ივლისიდან პენსიის 30 ლარით გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში რჩება.
- ამოქმედდება დღგ-ის ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ-ის არსებული ოდენობა;
- კომერციულ ბანკებს მიეცემათ 600 მილიონი ლარის გრძელვადიანი რესურსი;
- ბიზნესის მხარდაჭერისთვის დამატებით გამოიყოფა 500 მილიონი ლარი, მათ შორის, ამუშავდება საკრედიტო-საგარანტიო სქემა (გარანტიით გაიცემა 2 მილიარდი ლარის საკრედიტო პორტფელი);
- ცვლილებები „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში თანადაფინანსების პირობებში შეეხება სესხის/ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდის გაზრდას 24-დან 36 თვემდე და მინიმალური ზღვრის დაწევას, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმს, იგეგმება საქმიანობის სახეებისა და საბრუნავი საშუალებების დაფინანსების გაზრდა;
- იგეგმება 30,000 ლარამდე ოდენობით ერთწლოვანი კულტურების დაფინანსება აგროკრედიტების მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც სრულად დაფინანსდება სესხის პროცენტი;
- სამელიორაციო საქმიანობის ბენეფიციარები 2020 წელს სრულად გათავისუფლდებიან გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო წინა წლების დავალიანება სრულად ჩამოიწერება.

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნის ეტაპები

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, დისტანციური მუშაობისა და სოციალური დისტანცირების დაცვის რეკომენდაცია ძალაში რჩება COVID-19-ის პანდემიის გამო. 2020 წლის 27 აპრილიდან იგეგმება ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვების მოხსნა, რომელიც განხორციელდება ეტაპობრივად. ეტაპებს შორის სავარაუდო საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს ორ კვირას. ყოველი შემდგომი ეტაპის დაწყება დამოკიდებულია ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზზე რომლის საფუძველზეც გადაწყდება შემდგომ ეტაპზე გადასვლა. ქვემოთ მითითებული თარიღები პირობითია და შეიძლება შეიცვალოს ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაბამისად.

I
27.04.2020

- მსუბუქი ავტომობილით გადაადგილება;
- ტაქსის ოპერირება;
- საბითუმო და საცალო ონლაინ ვაჭრობა;
- მიტანის მომსახურება ნებისმიერ პროდუქტზე;
- ღია ტიპის აგრარული ბაზრების საქმიანობა.

II
11.05.2020

- მშენებლობა;
- სამშენებლო მასალების წარმოება;
- სამშენებლო ზედამხედველობა;
- ავტოსამრეცხაო და ავტო-სერვისები;
- ტექნიკის, პირადი, საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი;
- სარეკრეაციო ზონების ფუნქციონირება.

III
25.05.2020

- საცალო და საბითუმო მაღაზიები, შესასვლელით ქუჩიდან;
- ყველა ტიპის ღია ბაზრობა;
- ყველა ტიპის წარმოება;
- საგამომცემლო საქმიანობა.

IV
08.06.2020

- სავაჭრო ცენტრები (მოლები);
- ღია ტიპის კვების ობიექტები (ადგილზე);
- ყველა ტიპის საფინანსო მომსახურება;
- სილამაზის სალონები და ესთეტიკური ცენტრები.

V
22.06.2020

- დახურული ტიპის ბაზრები და ბაზრობები;
- ყველა ტიპის კვების ობიექტების ფუნქციონირება (ადგილზე მომსახურებით).

VI
06.07.2020

- გასართობი, სპორტული, შემოქმედებითი საქმიანობა;
- აზარტული და სხვა მომგებიანი სათამაშო ბიზნესი;
- სასტუმროების ფუნქციონირება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ყველა სხვა საქმიანობა, არადისტანციურ რეჟიმში.

© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

საკონტაქტო ინფორმაცია

გიორგი თავართქილაძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული დეპარტამენტი

gtavartkiladze@Deloitte.ge

გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი

gkhurodze@deloitte.ge

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171, საქართველო
Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
getbiinfo@deloitte.ge
www.deloitte.ge



© 2020 შპს დელოტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

Deloitte.
Legal

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალურ ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი") და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს

დელოიტი არის წამყვანი გლობალური მიმწოდებელი აუდიტორული, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების. ჟურნალ „Fortune"-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დელოიტი დაახლოებით 400-ს ემსახურება, 150-ზე მეტ ქვეყანაში არსებული წევრი კომპანიების მეშვეობით. ჩვენ ვამაყობთ, რომ დელოიტში დასაქმებული 312 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს www.deloitte.com.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი") ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

© 2020 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.